ხელშეკრულება N 0300/10/ 035

ქ. თბილისი — **თებერვალი**, 2021 **წელი**

ერთი მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის ტარიელ ჭანტურიძის სახით, შემდგომში **„შემსრულებელი"** და მეორე მხრივ **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი შარკოვის სახით, შემდგომში **„დამკვეთი"**, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყადვების საგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის" მიერ ლაბორატორიული მომსახურების გაწევა დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანების მე-3 მუხლის 2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

2.2. „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილება.

3. ხელშეკრულების ობიექტი

3.1. ლაბორატორიული კვლევების წარმოება N468 დადგენილების დანართი N1-ით განსაზღვრული კვლევების მიმართულებით.

3.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 85100000.

4. მხარეთა ურთიერ–მოვალეობები

4.1. „შემსრულებელი" უზრუნველყოფს:

4.1.1. „დამკვეთის" მოთხოვნის შესაბამისად კვლევას უზრუნველყოფს შემსრულებლის შესაბამისი ლაბორატორია.

4.1.2. N1 დანართის შესაბამისად ჩატარებული ლაბორატორიული ტესტირებების გამოკვლევების შედეგების მიწოდებას, როგორც ელექტრონულ ფორმატში, ასევე სპეციალურად ამ მიზნით წინასწარ დადგენილი ფორმებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დადგენილი წესით. (საკონტაქტო პირი ანნა ხოფერია, ელექტრონული მისამართი: A.khoperia@ncdc.ge ; ტელეფონი: 598 432 210);

4.2. „დამკვეთი" უზრუნველყოფს:

4.2.1. „შემსრულებლის" მოთხოვნის შესაბამისად გასატესტი პირების საიდენტიფიკაციო (გვარი, სახელი, პირადი ნომერი) მონაცემების მოწოდებას არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღით ადრე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა, რომელიც სავალდებულოა გადმოიგზავნოს შემდეგ ელექტონულ მისამართებზე (ლაბორატორია-საკონტაქტო პირი ნათია ჩუბინიძე, ელექტრონული მისამართი: s.chubinidze@ncdc.ge ; ტელეფონი: 595 956 123, ფინანსური უზრუნველყოფა - თეა გოგბაიძე, ელექტრონული მისამართი: T.gogbaidze@ncdc.ge ; ტელეფონი: 591 415 990) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დადგენილი წესით;

4.2.2. „დამკვეთის" მიერ 4.2.1 პუნქტის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსრულებლის" მიერ კვლევა არ განხორციელდება;

4.2.3. „შემსრულებლის" პერსონალის ხელშეწყობას ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცვის სტანდარტების შეფასების და მონიტორინგის პროცესში. ბიოუსაფრთხოების სამოქმედო ოპერაციული პროცედურების შესრულებას.

4.2.4. ხარისხის კონტროლის სისტემის მოთხოვნების და ოპერაციული პროცედურების დაცვას. გარე და შიდა აუდიტის განხორციელების ხელშეწყობას.

4.2.5. ლაბორატორიელი ნიმუშების ხარისხის კონტროლზე მუდმივ ზედამხედველობას.

4.2.6. „დამკვეთის" მიერ ერთდროულად 10 და მეტი ნიმუშის მოწოდების შემთხვევაში „შემსრულებელი" ვალდებულია უზრუნველყოს 20%-იანი ფასდაკლება ხელშეკრულების დანართი #1-ით განსაზღვრულ #1, #2 და # 3 პოზიციებზე;

4.2.7. „დამკვეთის" მიერ ერთჯერადად 200 და მეტი უსიმპტომო პირის ტესტირების შემთხვევაში (ოთხი ან მეტი ნიმუშის პულირების მეთოდის გამოყენებით) საფასური მცირდება 50%-ის ოდენობით ხელშეკრულების დანართი #1-ით განსაზღვრულ #4 პოზიციაზე;

5. ფინანსური საკითხები

5.1. ლაბორატორიული კვლევები და ტარიფები განსაზღვრელია 2015 წლის 14 სექტემბერის „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის N468 დადგენილებით.

5.2. ცვლილებები ლაბორატორიული კვლევების ტარიფებში წერილობითი სახით ეცნობება „დამკვეთს" ცვლილებამდე ორი კვირით ადრე.

5.3. „შემსრულებელი" გაწეული მომსახურების შემდგომ წარუდგენს „დამკვეთს" შესრულებული სამუშაოების ინვოისს ან/და მიღება-ჩაბარების აქტს.

5.4. „დამკვეთი" ვალდებულია შესაბამისი ინვოისის ან/და მიღება-ჩაბარების აქტის მიღებიდან 5 სამუშაო დღეში უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მითითებული ტარიფების შესაბამისად.

5.5. თუ „დამკვეთი" გადააცილებს შესრულებული სამუშაოს საფასურის გადახდის ვადას, იგი ვალდებულია გიდაიხადოს პირგასამტეხლო, გაწეული მომსახურების ღირებულების 0.1%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დავალიანების სრულ დაფარვამდე.

5.6. არსებული ფინანსური ურთიერთვალდებულებების დასადგენად მხარეები ვალდებულები არიან ურთიერთშედარების აქტი შეიდგინონ წლის ბოლოს დებტორულ/კრედიტორული დავალიანების არსებობისას. აღნიშნულის გარდა, მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვონ ურთიერთშედარების აქტის გაფორმება, რომლის გაფორმება სავალდებულოა მეორე მხარისათვის.

5.7 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 55'900 (**ორმოცდათხუთმეტი ათას ცხრაასი**) ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

5.8 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მამწოდებლის ყველა საავრუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებელ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

6.1. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის თარიღიდან და **ძალაშია** 2022 **წლის** 31 **იანვრის ჩათვლით**, ამ მუხლის მე-5.5 პუნქტის გათვალისწინებით.

6.2. ხელშეკრულებაში შეტანილი დამატებები და შესწორებები დადგენილი წესით ძალაში შედის მხოლოდ მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

6.4. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლისა და ორივე მხარის მიერ ურთიერთ კრედიტორულ–დებიტორული დავალიანების დაფარვის შემდეგ.

6.5. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე იყოს შეწყვეტილი:

6.6. მხარეთა შეთანხმებით.

6.7. შემსრულებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ერთპიროვნულად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება დამკვეთის მხრიდან დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. ხულშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს დამკვეთს დავალიანების და პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.

6.8. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე ერთი მხარე წერილობით ატყობინებს მეორეს შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე.

7.კონფიდენციალურობა

7.1. მხარეები თანახმანი არიან ამ ხელშეკრულების დადების და შესრულების პერიოდში ერთმანეთისთვის გადაცემული და გადასაცემი მთელი ინფორმაცია მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად (ხოლო, კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში - კომერციულ საიდუმლოებად) და იღებენ ვალდებულებას არანაირი სახით არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გახადონ ის ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.2 მხარეები იღებენ ვალდებულებას მთლიანად აანაზღაურონ მეორე მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებით გამოწვეული ზიანი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.

8.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ მომთხოვნი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის კურატორი დირექტორ(ებ)ი/მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში „ინსპექტარების ჯგუფი“).

8.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

8.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადისა და ხარისხის დაცვას;

8.3.2 დაადგინოს გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

8.3.3 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

9. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

9.1 მიმწოდებელი მომსახურების გაწევას განახორციელებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

9.2 მომსახურების გაწევის **ადგილი**: მიმწოდებლის ადგილსამყოფელი - **ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი** N99.

8. მხარეთა რეკვიზიტები.

„შემსრულებელი“

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მის: თბილისი, კახეთის გზატკეცილი N99
ს/კ 211324351
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი: TRESGE22;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707077027

გენერალური დირექტორის
მოადგილე ტარიელ ჭანტურიძე

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2021.02.24 15:25:26 +04'00'

„დამკვეთი“

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
ს/კ 202886788
იურ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ელ-ფოსტა: info@metro.ge
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE67TB7931836070100001; ბანკის კოდი: TBCBGE22

გენერალური დირექტორი
გიორგი შარკოვი

LLC Tbilisi Transport Company
Digitally signed by LLC Tbilisi Transport Company
Date: 2021.02.22 17:40:24 +04'00'

#	კოდი	კვლევის დასახელება	თანხა	რაოდენობა
1	PCR. SarsCoV2.1	პჯრ რეალურ დროში კორონავირუსის დეტექციისთვის (SARS CoV2 RT PCR არაუმეტეს 6 საათისა) მასალის აღების გათვალისწინებით	320	-
2	PCR. SarsCoV2.2	პჯრ რეალურ დროში კორონავირუსის დეტექციისთვის (SARS CoV2 RT PCR) მასალის აღების გათვალისწინებით	250	-
3	PCR. SarsCoV2.3	პჯრ რეალურ დროში კორონავირუსის დეტექციისთვის (SARS CoV2 RT PCR) მასალის აღების გარეშე	150	-
4	PCR. SarsCoV2.4	პჯრ რეალურ დროში კორონავირუსის დეტექციისთვის (SARS CoV2 RT PCR) პულირების მეთოდით მასალის აღების გათვალისწინებით	110	500
5	Serology. SarsCoV2.Ab	კორონავარუსის სეროლოგიურ მარკერებზე კვლევა (თითო მარკერი)	70	-
6	RDT. Coronavirus.Ab	სწრაფი ტესტირება კორონავირუსის მიმართ ანტისხეულებზე	70	-
7	RDT. Coronavirus.Ag	სწრაფი ტესტირება კორონავირუსის მიმართ ანტიგენზე	90	-
8	Service.1	ადგილზე მომსახურება და ნიმუშის ტრანსპორტირები (ქალაქის ფარგლებში)	45	20